

2020

წლის საპარლამენტო არჩევნების
წინასწარჩვენო გარემოს მონიტორინგი

შუალედური ანგარიში



2020

ადამიანის უფლებათა ცენტრი



არასამთავრობო ორგანიზაცია **ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC)** დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrightshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); www.coalitionfortheicc.org

ავტორები: გიორგი ტყეშელაშვილი
ლაზარე ჯიბლაძე

რედაქტორი: ალექსო ცხიტიავილი



Norwegian
Helsinki Committee

ანგარიში მომზადდა ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის პოზიციას. შესაბამისად, იგი არ არის პასუხისმგებელი ანგარიშის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი	5
1. პროტესტი საარჩევნო სისტემის შეცვლის მოთხოვნით	5
2. საპროტესტო აქციების ახალი ტალღა	6
3. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების (ODIHR) ოფისის დასკვნა	6
4. ქუჩის პროტესტიდან – მოლაპარაკების მაგიდამდე	7
5. 2020 წლის 8 მარტის შეთანხმება	9
6. პოლიტიკატიმრების განთავისუფლება, როგორც საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების წინაპირობა	10
7. საგანგებო მდგომარეობის გამოსხადება და მისი გავლენა საპარლამენტო არჩევნებზე	11
8. საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება საქართველოს პარლამენტის არჩევნების თაობაზე	13
9. საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები	15
10. მედიაჩეხვის უზრუნველყოფა	17
11. გენდერული კვოტირება	19
12. მერების გადადგომა	21
13. პოლიტიკური ფინანსების მარაგულირებელ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები	23
დასკვნა	24

შესავალი

ადამიანის უფლებათა ცენტრი, ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის მხარდაჭერით, 2020 წლის 1-ლი მარტიდან ახორციელებს 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგს. წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის შუალედურ ანგარიშში ასახულია ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები, ასევე 1-ელ მარტამდე განვითარებული ის მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებსაც უშუალო გავლენა ჰქონდა მონიტორინგის პერიოდში არსებულ მდგომარეობაზე ან მონიტორინგის პირობებშიც გრძელდებოდა.

1. პროტესტი საარჩევნო სისტემის შეცვლის მოთხოვნით

საქართველოში საარჩევნო სისტემის ხარვეზებზე დიდი ხნის განმავლობაში საუბრობდა არაერთი პოლიტიკური პარტია, სამოქალაქო საზოგადოება თუ საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები. საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებულ ცვლილებებამდე არსებული მოდელით მანდატების უსამართლო გადანაწილების პრაქტიკა არაერთხელ გამხდარა კრიტიკის საგანი, მათ შორის, დღეისათვის საპარლამენტო უმრავლესობის მქონე „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდისთვის. თუმცა, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ და მსგავსი მოდელის უმრავლესობაში მყოფი ძალისთვის სასათბურე პირობების შექმნიდან გამომდინარე, დაანონსებული რეფორმაც არაერთხელ გადაინია.

2019 წლის 20-21 ივნისს თბილისში განვითარებული მოვლენების ფონზე¹, პროპორციული არჩევნები კვლავ აქტიურად დაუბრუნდა პოლიტიკური მოთხოვნების დღის წესრიგს. ამჯერად, ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერითა და მთელი ოპოზიციური სპექტრის ერთიანი პოზიციით.

პროპორციული საარჩევნო სისტემის მოთხოვნით, აქციები ზაფხულში მას შემდეგ დაიწყო, რაც 20 ივნისის ღამეს პოლიციამ საპროტესტო აქცია ძალის გამოყენებით დაშალა. „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს თავმჯდომარემ - ბიძინა ივანიშვილმა, სატელევიზიო ეთერით² საზოგადოებას პირობა მისცა, რომ 2020 წელს ქვეყანა სრულად პროპორციულ სისტემაზე გადავიდოდა და კანონპროექტზე მუშაობაც დაიწყო. თუმცა, მოგვიანებით ისევ „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა, კანონპროექტი ჩააგდეს³.

¹ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის ანალიტიკური დოკუმენტი 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით: <https://bit.ly/3li8lhi>.

² იხ. ივანიშვილის სატელევიზიო მიმართვა: <https://bit.ly/31qOsqb>.

³ იხ. ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/3glCAjS>.

2. საპროტესტო აქციების ახალი ტალღა

მას შემდეგ, რაც მმართველმა ძალამ საზოგადოებისთვის მიცემული პირობა არ შეასრულა და კანონპროექტი ჩააგდო, განახლდა საპროტესტო აქციები და პარლამენტის პიკეტირებები, რომელიც სპეცრაზმმა ორჯერ დაშალა⁴.

კრიზისიდან გამოსავლად ოპოზიციურმა სპექტრმა და კონსტიტუციონალისტებმა ხელისუფლებას ე.წ. „გერმანული მოდელის“⁵ პროპორციულ სისტემაზე გადასვლა შესთავაზეს, რომელიც, მათი აზრით, კონსტიტუციური ცვლილებების გარეშეც შეიძლებოდა განხორციელებულიყო. ხელისუფლების პოზიციით კი, მსგავსი ცვლილება წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს კონსტიტუციასთან და შესაბამისად ის ვერ განხორციელდებოდა⁶.

ოპოზიციის მიერ მომზადებული კანონპროექტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა - ნინო ლომჯარიამ საარჩევნო სისტემაში შესატანი ცვლილებების პროექტი, ოპოზიციური პარტიების თხოვნით, ODIHR-ს 2019 წლის 9 დეკემბერს გაუგზავნა⁷.

ოპოზიციურმა პარტიებმა სახალხო დამცველს კანონპროექტის ოდირში გაგზავნის თხოვნით მას შემდეგ მიმართეს, რაც ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის თითქმის ამოიწურა დისკუსიის რესურსი საკითხზე, შეესაბამებოდა თუ არა კონსტიტუციას 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ოპოზიციის მიერ შეთავაზებული ე.წ. გერმანული მოდელი. აღსანიშნია, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები კანონპროექტის ვენეციის კომისიაში წარდგენასაც მოითხოვდნენ, მაგრამ რადგან ვენეციის კომისიასთან მსგავსი კომუნიკაცია მხოლოდ ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლობით ხორციელდება, „ქართული ოცნების“ წინააღმდეგობის პირობებში, მსგავსი რამ ვერ განხორციელდა.

3. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების (ODIHR) ოფისის დასკვნა

2020 წლის 5 თებერვალს, ეუთო/ოდირმა (შემდგომში - ODIHR) გამოაქვეყნა დასკვნა⁸, რომელშიც ოპოზიციის მიერ შეთავაზებული ე.წ. „გერმანული საარჩევნო მოდელია“ განხილული.

⁴ იხ. ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/3hsTaQc>.

⁵ ოპოზიციურმა პარტიებმა ე.წ. გერმანულ მოდელზე მუშაობა 2019 წლის ნოემბერში მას შემდეგ დაიწყო, რაც 14 ნოემბერს „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა მოქმედი შერეული საარჩევნო სისტემის სრულად პროპორციულით ჩანაცვლების საკონსტიტუციო ცვლილებების კანონპროექტი ჩააგდეს.

⁶ იხ. ინფორმაცია ვრცლად: <https://rb.gy/ntv7gp>

⁷ იხ. ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/32rPNm8>.

⁸ იხ. ODIHR Opinion on Draft Amendments to The Election Code of Georgia: <https://bit.ly/2GdDfaJ>.

თავდაპირველად, ODIHR ხაზს უსვამს იმ საკითხს, რომ კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე საბოლოო გადაწყვეტილება ადგილობრივმა სასამართლოებმა უნდა მიიღონ, ხოლო წარმოდგენილი დასკვნა/მოსაზრება მიმოიხილავს შემოთავაზებულ ცვლილებებს და აანალიზებს მათ რელევანტურ საერთაშორისო ვალდებულებებსა და სტანდარტებთან მიმართებაში.

ODIHR-ის შეფასებით, შეთავაზებული კანონპროექტი საარჩევნო კოდექსის ფუნდამენტურ ელემენტებს ცვლის. მათი განცხადებით, საერთაშორისო კარგი პრაქტიკა იძლევა რეკომენდაციას, რომ საარჩევნო კანონმდებლობის ძირითადი ასპექტები არ გაიხსნას ცვლილებებისთვის არჩევნებამდე ერთი წლით ადრე. ამასთან, ODIHR-ის შეფასებით, საერთაშორისო სტანდარტები არ გვთავაზობს საარჩევნო სისტემების განსაზღვრებას⁹. შესაბამისად, კონკრეტული სისტემა უნდა კატეგორიზდეს თუ არა მაჟორიტარულად, პროპორციულად ან ჰიბრიდულად, პოლიტიკური და სამართლებრივი სწავლების, სამეცნიერო მსჯელობის საგანია¹⁰.

დასკვნის თანახმად, ოპოზიციის მიერ შეთავაზებული პაკეტი ჯდება უნივერსალური, თავისუფალი, საიდუმლო და პირდაპირი ხმის უფლების პრინციპებში.¹¹

გარდა დადებითი შეფასებებისა, ODIHR-ის დასკვნას თან ერთვის ექვსი ტექნიკური რეკომენდაცია იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლებოდა ოპოზიციის მიერ მომზადებული ცვლილებათა პაკეტის გაუმჯობესება, მათ შორისაა¹²: 1. ბიულეტენში არჩევანის მონიშვნის წესის, ცესკო-ს მიერ საბოლოო შედეგების შეჯამების ვადების, ქვე-ოლქების განსაზღვრის, მრავალმანდატიან ოლქებს შორის მანდატების თანაბრად განაწილების შესახებ რეკომენდაციები და ა.შ.

4. ქუჩის პროტესტიდან – მოლაპარაკების მაგილამდე

საზოგადოებისა და ოპოზიციური პარტიების ქუჩის რამდენიმეკვირიანი პროტესტის შემდეგ, ოპოზიციასა და მმართველ გუნდს შორის მოლაპარაკებები საქართველოში აკრედიტირებული უცხოელი დიპლომატების მედიატორობით დაიწყო¹³.

დიპლომატების ჩართულობით ორგანიზებულ შეხვედრებზე, მმართველი გუნდის მიერ თავიდანვე გაჟღერდა, რომ ისინი სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლის საკითხს იმ ეტაპზე არ განიხილავდნენ, მაგრამ გარკვეულ კომპრომისზე

⁹ იქვე: Analysis and Recommendations, პუნქტი 15.

¹⁰ იხ. Code of Good Practice in Electoral Matters, ვენეციის კომისია, პარაგრაფი II 2b. <https://bit.ly/2QEWcVD>.

¹¹ იხ. ODIHR Opinion on Draft Amedments to The Election Code of Georgia, Analysis and Recommendations, პუნქტი 18 A. <https://bit.ly/2YMIRPq>.

¹² იქვე: Technical Remarks, გვ. 8-9.

¹³ იხ. ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/3jiGETL>.

თანხმობა განაცხადეს. ამ თვალსაზრისით, მმართველმა პოლიტიკურმა პარტიამ ოპოზიციას პროპორციული მანდატების 100-მდე გაზრდა და მაჟორიტარების რაოდენობის 50-მდე შემცირება შესთავაზა. ამასთან - იმ პირობით, რომ აღნიშნული საარჩევნო სისტემა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების დროსაც შენარჩუნდებოდა. მოლაპარაკებებში ჩართული ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები, აღნიშნულ თანაფარდობას თავიდანვე არ დაეთანხმნენ და უფრო პროპორციულ და სამართლიან სისტემას მოთხოვნდნენ.

ელჩების ფასილიტაციით გამართული შეხვედრებისა და ოპოზიციური პარტიების მკაცრი უარის შემდეგ, მოგვიანებით, მმართველი გუნდის წარმომადგენელთა მიერ ცნობილი გახდა, რომ არ გამოირიცხებოდა 110/40-ზე საარჩევნო სისტემის ერთჯერადად, მხოლოდ 2020 წლის არჩევნებისთვის, შემოღებაც¹⁴.

აღნიშნული მოლაპარაკებები ჩაიშალა მას შემდეგ, რაც საარჩევნო სისტემის ცვლილებების შესახებ გამართულ მოლაპარაკებებში აქტიურად ჩართულ, „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერს, თბილისის ყოფილ მერს - გიგი უგულავას, 2020 წლის 10 თებერვალს, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, ე.წ. „თბილისის განვითარების ფონდის“ საქმეზე 3 (სამი) წლით, 2 (ორი) თვითა და 8 (რვა) დღით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით - 4 (ოთხი) თვით სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა - ჩაეთვალა მოხდილად.

აღნიშნულ საქმეზე გამოძიება 7 წლის წინ დაიწყო, საბოლოო ინსტანციის სასამართლომ კი, გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრის 6 თვიანი ვადის დარღვევის შემდეგ, მისი პოლიტიკურად გააქტიურების დროს, იმავე მოსამართლის მიერ მიიღო, რომელიც მანამდე სასამართლოში საქმის განხილვისას მთავარი ბრალმდებელი (გენერალური პროკურორი) იყო¹⁵. აღნიშნულს მოჰყვა საერთაშორისო პარტნიორების და გავლენიანი მეგობარი პოლიტიკოსების მკაცრი განცხადებები საქმეში პოლიტიკური მოტივების არსებობის თაობაზე და საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, მართლმსაჯულების ორგანოების პოლიტიკური ანგარიშსწორების მიზნებისთვის გამოყენებაზე¹⁶.

¹⁴იხ. ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/32UHm3h>.

¹⁵ იხ. გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება, ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი. <https://bit.ly/34Pz8fp>.

¹⁶ იხ. ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო ურთიერთობა კომიტეტის თავმჯდომარი - ჯიმ რიშისა და სენატორი ჯინ შაჰინის განცხადებები: <https://bit.ly/3jbyvJL>. ასევე, იხ. ევროპარლამენტარების ერთობლივი განცხადება: <https://cutt.ly/quMK0ei>.

5. 2020 წლის 8 მარტის შეთანხმება

საერთაშორისო დონეზე გამოთქმული ნეგატიური შეფასებების პარალელურად, მმართველი ძალის წარმომადგენლებმა, გიორგი უგულავას მიმართ გამოტანილი განაჩენი „ადეკვატურად“ შეაფასეს¹⁷ და პოლიტიკური მოტივების არსებობა უარყვეს. ოპოზიციამ კი, საპროტესტო აქციების დაწყება დაანონსა. მათი თქმით, შემდგომ მოლაპარაკებას აზრი არ ჰქონდა, თუ მმართველი გუნდი პოლიტპატიმრებს არ გაათავისუფლებდა და ისეთ საარჩევნო მექანიზმს არ დათანხმდებოდა, რომელიც 40%-ზე ნაკლები მხარდაჭერის მქონე პარტიას მთავრობის დაკომპლექტების საშუალებას არ მისცემდა¹⁸.

ამ განცხადებების გავრცელების შემდეგ, დიპლომატიურ კორპუსთან ერთად, არაოფიციალურ შეხვედრებზე, ისევ გაგრძელდა ოპოზიციასა და მმართველს გუნდს შორის საარჩევნო სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებული დიალოგი. ოპოზიციური პარტიების განცხადებით, ერთადერთი თანაფარდობა, რომელიც საქართველოს პარლამენტში სამართლიან და პროპორციულ საარჩევნო სისტემასთან ყველაზე ახლო მდგომ წარმომადგენლობასა და მოდელს უზრუნველყოფდა, იყო 130/20-ზე სისტემა, რაც, მმართველი გუნდის შეფასებით, შეუძლებელი იყო, იმ არგუმენტით, რომ საქართველოს გეოგრაფია არ იძლეოდა ამდენ ოლქად ქვეყნის დაყოფის საშუალებას. ამის საპირისპიროდ კი, 110/40-ზე თანაფარდობას სთავაზობდა¹⁹.

საბოლოოდ, 2020 წლის 8 მარტს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შეთანხმების ორი დოკუმენტი გაფორმდა²⁰. არაფორმალურ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება შერეული სისტემით - პარლამენტში აირჩევა 120 წევრი პროპორციული და 30 წევრი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით. შეთანხმებით გათვალისწინებულია, რომ 2020 დან 2024 წლამდე შუალედში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში, პირველი ასეთი არჩევნები ჩატარდება 2020 წლისთვის განსაზღვრული წესების შესაბამისად, ყველა მომდევნო კი სრულად პროპორციული სისტემით, 2024 წლისთვის საქართველოს კონსტიტუციაში ამჟამად განსაზღვრული წესის მიხედვით. მეორე დოკუმენტი ეხება სასამართლო და საარჩევნო პროცესების არასათანადო პოლიტიზაციაზე რეაგირებას.

¹⁷ იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3hyOTKR>

¹⁸ იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3hxopti>.

¹⁹ იხ. ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/2QHk4YZ>.

²⁰ იხ. 1) ურთიერთგაგების მემორანდუმი: <https://bit.ly/32xRqyD>.

6. პოლიტპატიმრების განთავისუფლება, როგორც საკონსტიტუციო სვლილებაების მიღების წინაპირობა

საარჩევნო სისტემაზე შეთანხმების მიღწევისათვის სასაუბროდ და შეთანხმებით მონესრიგებული საარჩევნო სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების აღსრულების წინაპირობად ოპოზიცია პოლიტპატიმრების განთავისუფლების საკითხს აყენებდა და მხოლოდ ამ საკითხის მოგვარების პირობით თანხმდებოდა მოლაპარაკებებს ხელისუფლებასთან. ამიტომ ამჯერად, ეს საკითხი ცალკე დოკუმენტით დარეგულირდა. „ერთობლივი განცხადების“²¹ სახელით ცნობილი დოკუმენტით აღიარებულია, რომ მართლმსაჯულების სისტემაში „უმალესი სტანდარტი“ უნდა იყოს დაცული. მინიშნებულია იმაზეც, რომ შეთანხმებით, ამჟამადაც და მომავალშიც სასამართლო და საარჩევნო პროცესების არასათანადო პოლიტიზაციაზე რეაგირება აუცილებელია. აღნიშნულ პრობლემას კი, მმართველი ძალის წარმომადგენლები უარყოფდნენ. საბოლოო ჯამში, მიუხედავად პოლიტპატიმრების არსებობის უარყოფისა, მძიმე საერთაშორისო წნეხიდან გამომდინარე, რომელიც ირაკლი ოქრუაშვილის²², გიორგი უგულავას²³, გიორგი რურუას²⁴, ბესიკ თამლიანის²⁵ სისხლის სამართლის საქმეებში სავარაუდო პოლიტიკური მოტივების არსებობას უკავშირდება და საერთაშორისო თუ ადგილობრივ დონეზე არაერთი განცხადება გავრცელდა, მათ შორის ევროპარლამენტარების²⁶, აშშ-ის სენატორებისა²⁷ და კონგრესმენების²⁸ მხრიდან, 2020 წლის 15 მაისს, საქართველოს პრეზიდენტმა შეწყალების აქტის საფუძველზე პოლიტიკური პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერი, ირაკლი ოქრუაშვილი და „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, გიორგი უგულავა შეიწყალა. თუმცა, პრეზიდენტის განცხადებით, მან შეიწყალა არა პოლიტპატიმრები, არამედ დამნაშავეები²⁹. მსჯავრდებულებმა შეწყალების აქტის გამოცემის დღესვე - 2020 წლის 15 მაისს დატოვეს

²¹ იხ. ერთობლივი განცხადება: <https://bit.ly/32xRqyD>.

²² იხ. ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება. ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი. <https://bit.ly/34CEOcd>.

²³ იხ. გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება, ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი. <https://bit.ly/34Pz8fp>.

²⁴ იხ. გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმე სამართლებრივი ანალიზი. ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი. <https://bit.ly/31xlmL1>

²⁵ იხ. 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი ანალიზი. ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი. <https://bit.ly/2G36KvP>.

²⁶ იხ. ევროპარლამენტარების ერთობლივი განცხადება: <https://cutt.ly/quMK0ei>.

²⁷ იხ. ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო ურთიერთობა კომიტეტის თავმჯდომარი - ჯიმ რიშისა და სენატორი ჯინ შაჰინის განცხადებები: <https://bit.ly/2QwjZHq>. ასევე, იხ. რესპუბლიკელი კონგრესმენი - რენდი ვებერის განცხადება: <https://bit.ly/3aZTGCE>.

²⁸ იხ. ადამ კინზინგერის, ჯერალდ კონოლის, ელიოტ ენგელის, მაიკლ მაკკოლის ერთობლივი განცხადება: <https://bit.ly/2QHzRXL>. ასევე, იხ. რესპუბლიკელი კონგრესმენის - ადამ კინზინგერის განცხადებები: <https://bit.ly/2ECwiDa>, <https://bit.ly/31vh7AP>.

²⁹ იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/37sxaAF>.

პენიტენციური დაწესებულება³⁰. პრეზიდენტის მიერ აღნიშნულ პირთა შეწყალება დადებითად შეფასდა საერთაშორისო დონეზე³¹. მიუხედავად განხორციელებული შეწყალებისა, ოპოზიციის ნაწილი, მაინც არ დათანხმდა საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებას იმ საფუძვლით, რომ არ განთავისუფლებულა ყველა პოლიტპატიმარი. მათი განთავისუფლების მოთხოვნა ისევ გაგრძელდა³². აქცენტი კი, ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ერთ-ერთი მენილისა და თანადამფუძნებლის, გიორგი რურუას განთავისუფლებაზე კეთდებოდა. ამ განცხადებების შემდეგ, მოგვიანებით, 2020 წლის 30 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ, იარაღის უკანონო შექმნა-შენახვა-ტარების ბრალდებით (სსკ-ის 236-ე მუხლ.) დამნაშავედ ცნო და ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა³³.

7. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და მისი გავლენა საპარლამენტო არჩევნებზე

2020 წლის 21 მარტს, საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა ზოგადად მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე პროცესებისა და ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით³⁴. კორონავირუსის გავრცელებამ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ახალი გამოწვევები შეუქმნა დემოკრატიულ საზოგადოებაში სახალხო ლეგიტიმაციის უმთავრეს ფორმას - არჩევნებსაც. სოციალური დისტანციის დაცვის, მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, არაერთ (მათ შორის - დასავლურ) ქვეყანაში შეფერხდა არჩევნების ჩატარება. თებერვლის ბოლოდან, 50-ზე მეტმა ქვეყანამ შეცვალა ქვეყნის მასშტაბის, რეგიონული თუ ადგილობრივი არჩევნების ვადები³⁵. მათ შორის, საფრთხის ქვეშ დადგა საქართველოში საპარლამენტო არჩევნების ვადის განსაზღვრისა და ჩატარების საკითხიც. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საგანგებო მდგომარეობის არსებობის შემთხვევაში არ ტარდება საყოველთაო არჩევნები. ქვეყნის რომელიმე ნაწილში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში დანარჩენ ტერიტორიაზე არჩევნების ჩატარების

³⁰ იხ. განცხადება პოლიტიკური ლიდერების განთავისუფლებისა და მათ წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების თაობაზე. <https://bit.ly/3gyPH1d>.

³¹ მაგ., იხ. ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო ურთიერთობა კომიტეტის თავმჯდომარის - ჯიმ რიშის განცხადება: <https://bit.ly/3qwY4KD>.

³² მაგ., იხ. ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო ურთიერთობა კომიტეტის თავმჯდომარის - ჯიმ რიშის განცხადება გიორგი რურუას განთავისუფლებაზე: <https://bit.ly/2Qrj1w5>.

³³ იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/31xfJNT>.

³⁴ იხ. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანება № 1 საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, 2020 წლის 21 მარტი. ქ. თბილისი. <https://bit.ly/3jixuXx>.

³⁵ იხ. COVID 19 პანდემია და ადამიანის უფლებები. ადამიანი უფლებათა ცენტრი. 2020 წელი. გვ. 11. <https://bit.ly/2D6zJO5>.

შესახებ გადანყვეტილება მიიღება პარლამენტის მიერ³⁶; საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვა ჩერდება ამ მდგომარეობის გაუქმებამდე³⁷, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შეზღუდვაა საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით კონსტიტუციაში განსახორციელებელი მიმდინარე ცვლილებების ფონზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, საფრთხის ქვეშ დადგა საკონსტიტუციო ცვლილებების არჩევნებამდე მიღების საკითხიც. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სხვა ქვეყნების მსგავსად, ქვეყანაში ეპიდემიასთან და მასთან ბრძოლის მექანიზმებთან დაკავშირებული საკითხები გახდა სახელმწიფოში ძირითადი განხილვების საგანი. შესაბამისად, ოპოზიციური პარტიები საკონსტიტუციო ცვლილებებზე ყურადღებას ნაკლებად ამახვილებდნენ, ხოლო მასთან დაკავშირებული დისკუსიის განახლება და ცვლილებების მიღებისათვის საჭირო პროცესების აქტიურ ფაზაში წარმართვა მმართველი ძალის მიერ, საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდეგ, 2020 წლის 21 აპრილიდან დაანონსდა³⁸.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მსოფლიო პრაქტიკის³⁹ პარალელურად, გარკვეულ ექსპერტთა წრეებში⁴⁰, დაიწყო საუბარი საქართველოში არჩევნების შესაძლო გადადების შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სცენართან დაკავშირებით არც ცესკო და არც პოლიტიკური სპექტრი⁴¹ არ აკეთებდა განცხადებებს.

2020 წლის 5 მაისს ცენტრალური საარჩევნო კომისია მონაწილეობდა ონლაინ სიმპოზიუმში - „არჩევნები პანდემიის დროს“, რომელიც ევროპის საარჩევნო მოხელეთა ასოციაციის (ACEEEO) ორგანიზებით ჩატარდა. ცესკო-ს განცხადებით, სახელმწიფო მობილიზებულია, რომ პანდემიის გახანგრძლივების პირობებშიც კი, არჩევნები 2020 წლის 31 ოქტომბერს ჩატარდეს. ამასთან, ხელი არ შეეშალოს და ზედმინევნით იყოს დაცული მოქალაქეების ჯანმრთელობისთვის საჭირო პირობები⁴².

³⁶ იხ. საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლი. <https://bit.ly/2QtTVg3>.

³⁷ იხ. საქართველოს კონსტიტუციის 77-ე მუხლი. <https://bit.ly/2QtTVg3>.

³⁸ იხ. სტატია - „საგანგებო მდგომარეობის გავლენა საპარლამენტო არჩევნებზე“. ადამიანის უფლებათა ცენტრი. 24.03.2020. <https://bit.ly/2QwYohY>.

³⁹ მაგ., 1) 2020 წლის 10 მაისს დაგეგმილი პოლონეთის საპრეზიდენტო არჩევნები: <https://bit.ly/2G4P9ng>; 2) ადგილობრივი არჩევნები 1 წლით გადაიდო დიდ ბრიტანეთში: <https://bit.ly/2YH01hy>; 3) შეერთებულ შტატებში პანდემიის გავრცელება დემოკრატია შიდაპარტიული არჩევნებს დაემთხვა. შედეგად, პრაიმერი გადაიდო 16 შტატში: <https://nyti.ms/34ME1FE>.

⁴⁰ იხ. სტატია: „COLCHIS: In Georgia, the opposition may become the next COVID casualty“. <https://bit.ly/34DfNOg>.

⁴¹ იხ. ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/31C0LX7>.

⁴² იხ. ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/3jk00If>. ასევე, იხ. სტატია - „საპარლამენტო არჩევნები პანდემიის პირობებში“. ადამიანის უფლებათა ცენტრი. 16.07.2020. <https://bit.ly/3gJrUvL>.

8. საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება საქართველოს პარლამენტის არჩევნების თაობაზე

საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულია სახალხო სუვერენიტეტის პრინციპი, რომლის თანახმად, საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი, რომელიც თავის ძალაუფლებას ახორციელებს, მათ შორის, თავისი წარმომადგენლების მეშვეობით⁴³. აღნიშნული კონსტიტუციური მოთხოვნა გულისხმობს, რომ წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებში თითოეული ადამიანის ხმას თანაბარი ღირებულება გააჩნდეს და ყველა მოქალაქეს მიეცეს შესაძლებლობა, ჰყავდეს საკუთარი ინტერესების გამტარებელი წარმომადგენელი საკანონმდებლო ორგანოში. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ სამართლიანი არჩევნები და მისი გამჭვირვალობა, ხალხის მმართველობის ერთ-ერთი ფორმაა.

რაც შეეხება საპარლამენტო არჩევნების სისტემას, იგი განსაზღვრავს წესს, თუ როგორ უნდა მოხდეს საკანონმდებლო (წარმომადგენელთა) ორგანოს ფორმირება და როგორ უნდა გარდაიქმნას იგი მანდატებად⁴⁴. თავად არჩევნების სამართლიანი შედეგები კი, პირდაპირპროპორციულ კავშირშია საარჩევნო სისტემასთან⁴⁵.

ცვლილებებამდე არსებული საარჩევნო სისტემის კრიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ვერ უზრუნველყოფს არჩევნების სამართლიანი შედეგების მიღწევას. მთავარი პრობლემაა ის, რომ პარალელური საარჩევნო სისტემის მაჟორიტარული კომპონენტის გამოყენების შედეგად ჩნდება გაუმართლებელი, არასამართლიანი შეუსაბამობა პარტიების მიერ მიღებულ ხმებსა და მანდატებს შორის. სწორედ ამიტომ, აღნიშნული სისტემის რეფორმირება, ცვლილებების განხორციელების მხარდაჭერის მაღალი ლეგიტიმაციით, საზოგადოების, სამოქალაქო სექტორისა და სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის მოთხოვნით, დადგა ხელისუფლების დღის წესრიგში მთავარ საკითხად, რაც უამრავი სირთულის მიუხედავად, საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით, საბოლოო ჯამში, მაინც განხორციელდა. 2020 წლის 29 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა, სამი მოსმენით, მხარი დაუჭირა „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტებს⁴⁶. პოლიტიკური პარტია „ნაციონალური მოძრაობა“ საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვაში არ მონაწილეობდა⁴⁷. საქართველოს პარლამენტის სხდომასა და განხილვებს ესწრებოდნენ „ევროპული საქართველოს“ წევრები. თუმცა, პარტიის

⁴³ იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი. <https://bit.ly/2Y11XX5>.

⁴⁴ იხ. საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრის დოკუმენტი. „ევროპული ქვეყნების პროპორციული საარჩევნო სისტემები და მათი თავისებურებები“. 2020 წლის 27 მარტი. <https://bit.ly/3jEym3>.

⁴⁵ იხ. საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის დოკუმენტი. საარჩევნო სისტემები. <https://bit.ly/2YEEkhW>.

⁴⁶ იხ. საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“, საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე: <https://bit.ly/3glHY0F>.

⁴⁷ იხ. ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/31xjing>.

ლიდერებმა განაცხადეს, რომ პროექტის მეორე და მესამე მოსმენით განხილვაში მათი მონაწილეობა იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, გათავისუფლდებოდა თუ არა გიორგი რურუა⁴⁸.

ცვლილებების ძირითადი არსი:

✓ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება შერეული სისტემით - პარლამენტში აირჩევა 120 წევრი პროპორციული და 30 წევრი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით.

✓ [2020 წლის 29 ივნისს] მიღებული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგად, საქართველოს პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება იმ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებიც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 1 პროცენტს მაინც მიიღებენ. ასევე - იმ პოლიტიკური პარტიების საარჩევნო ბლოკებზე, რომელთა მიერ მიღებული ნამდვილი ხმების პროცენტული მაჩვენებელი 1 პროცენტისა და საარჩევნო ბლოკში შემავალი პოლიტიკური პარტიების რაოდენობის ნამრავლს მაინც შეადგენს.

✓ ამასთან, პოლიტიკური პარტიის ან საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად მის მიერ მიღებული ნამდვილი ხმების რაოდენობა მრავლდება 120-ზე და იყოფა ყველა იმ პოლიტიკური პარტიისა და საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული ნამდვილი ხმების რაოდენობათა ჯამზე, რომლებმაც 1-პროცენტიანი [ე.წ. „მექანიკური“] საარჩევნო ბარიერი გადალახეს.

✓ ახალი სისტემით, თუ პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი 120-ზე ნაკლები იქნება, გაუნაწილებელ მანდატებს თანმიმდევრობით მიიღებენ უდიდესი ნაშთის მქონე პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო ბლოკები.

✓ აგრეთვე, ცვლილებების შედეგად, პოლიტიკური პარტიის ან საარჩევნო ბლოკის მიერ პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით ჯამურად მიღებული მანდატების პროცენტული წილი მანდატების საერთო რაოდენობაში არ უნდა აღემატებოდეს პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ პროპორციული სისტემით მიღებული ნამდვილი ხმების საერთო რაოდენობაში ამავე პოლიტიკური პარტიის ან საარჩევნო ბლოკის მიერ პროპორციული სისტემით მიღებული ნამდვილი ხმების პროცენტული წილისა და ამ წილის 1/4-ის ჯამს. ზემოხსენებული მარჯის (1/4) გადაჭარბების შემთხვევაში, პარტიას ან საარჩევნო ბლოკს მოაკლდება მანდატები პროპორციული საარჩევნო სიიდან, რომლებიც პროპორციულად განაწილდება იმ სხვა პოლიტიკური პარტიებისა და

⁴⁸ იხ. ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/2FX9yue>.

საარჩევნო ბლოკების მიერ წარდგენილ საარჩევნო სიებზე, რომლებმაც შესაბამისი საარჩევნო ბარიერი გადალახეს.

✓ 2020 წლის არჩევნებში მონაწილეობის უფლება ექნება პარტიას, რომლის მხარდაჭერა დადასტურებული იქნება არანაკლებ 5000 ამომრჩევლის ხელმოწერით. ამასთან, 5000 ხელმოწერის წარდგენის ვალდებულებისაგან გათავისუფლება: ყველა კვალიფიციური პარტია; ყველა პარტია, რომელიც დამოუკიდებლად ან ბლოკურად მონაწილეობდა პარლამენტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბოლო არჩევნებში და მან/შესაბამისმა ბლოკმა პროპორციული წესით 15000 ხმა მაინც მიიღო; ყველა პოლიტიკური პარტია, რომლის მიერ წარდგენილმა ან რომლის წევრმა კანდიდატმა საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის არჩევნების პირველ ტურში 15000 ხმა მაინც მიიღო.

✓ გარდა ზემოაღნიშნულისა, კანონპროექტი უშუალოდ ადგენს 30 ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის საზღვრებს ამჟამად მოქმედი ადმინისტრაციული საზღვრების გათვალისწინებით.

9. საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 2020 წლის 2 ივლისის კომიტეტის სხდომაზე, 94 ხმით, ერთის წინააღმდეგ, მესამე მოსმენით მიიღო ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“⁴⁹. მასში წარმოდგენილი ცვლილებების დიდი ნაწილი ეფუძნება ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) რეკომენდაციებს⁵⁰. ეს რეკომენდაციები შეეხება საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწას ისეთი ძირითადი მიმართულებებით, როგორცაა: *საარჩევნო გარემო და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების პრევენცია; მედიაკამპანია და საეთერო დრო; საარჩევნო დავების განხილვა და ა.შ.*

საარჩევნო კანონმდებლობაში, ასევე, ცვლილებები შევიდა „გენდერულ კვოტირებასთან“ დაკავშირებით.

ცვლილებების ძირითადი არსი:

I. საარჩევნო გარემო და ადმინისტრაციული რესურსები

⁴⁹ იხ. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ. <https://bit.ly/2D55Duk>.

⁵⁰ იხ. Office for Democratic Institutions and Human Rights. GEORGIA PRESIDENTIAL ELECTION 28 October and 28 November 2018. ODIHR Election Observation Mission Final Report: <https://bit.ly/3b2CQTC>.

✓ საჯარო მოხელეების მსგავსად, სამუშაო საათებში წინასაარჩევნო აგიტაცია აკრძალავს სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების თანამშრომლებს, მათ შორის საჯარო სკოლების პედაგოგებს *(45-ე მუხლის მე-4 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი)*;

✓ არჩევნების დღემდე 8 საათის განმავლობაში და არჩევნების დღის 20:00 საათამდე იკრძალება წინასაარჩევნო რეკლამისა და საარჩევნო სუბიექტების პროგრამების განთავსება და გადაცემა ტელევიზიისა და რადიოს ეთერებში. ასევე, იკრძალება საარჩევნო მიზნებით ავტომატიზებული სატელეფონო ზარების განხორციელება და მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა *(184-ე მუხლის მე-17 პუნქტი)*;

✓ კენჭისყრის შენობის შესასვლელიდან 25 მეტრის მანძილზე დაუშვებელი იქნება სააგიტაციო მასალის განთავსება, აგრეთვე უბნიდან 25 მეტრის რადიუსში, პირთა მიერ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება *(45-ე მუხლის მე-12 პუნქტი)*.

II. მედიაკამპანია და საეთერო დრო

✓ იკრძალება ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ საკუთარი სარეკლამო დროის ფარგლებში ისეთი რეკლამის განთავსება, რომელიც სხვა საარჩევნო სუბიექტის სააგიტაციო მიზნებს ემსახურება *(51-ე მუხლის 1-ლი პუნქტი)*;

✓ იკრძალება მაუწყებლის მიერ ფასიანი რეკლამის განთავსებისათვის გადახდილ საფასურზე მეტი დროის დათმობა დამკვეთისთვის, აგრეთვე, უფასო რეკლამის განთავსებისას საარჩევნო სუბიექტისათვის კანონმდებლობით განსაზღვრულ დროზე მეტის დათმობა ჩაითვლება უკანონო შემონიშნულობად *(51-ე მუხლის მე-14 პუნქტი)*;

✓ უფასო სარეკლამო დროით ის პარტიები ისარგებლებენ, რომლებიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში 1%-იან ბარიერს გადალახავენ, ხოლო 2024 წლიდან ამისთვის 3%-იანი ბარიერის გადალახვა იქნება საჭირო *(51-ე მუხლის მე-2 პუნქტი)*;

III. საარჩევნო დავები

✓ საარჩევნო კომისიებში და კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში მცირდება სამართალდარღვევათა შესახებ ოქმის შედგენის ვადები *(83-ე მუხლის მე-2 პუნქტი)*;

✓ 30 დღიდან 10 დღემდე მცირდება საარჩევნო კომისიებში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული დავების განხილვის ვადები *(93-ე მუხლის მე-6 პუნქტი)*.

10. მედია რეგულაცია

საქართველოს პარლამენტმა, 2020 წლის 17 ივლისს, საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ⁵¹, პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე, დაჩქარებული წესით, სამი მოსმენით, ერთი კვირის განმავლობაში განიხილა და დაამტკიცა. თანმხვედრი ცვლილება შევიდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონშიც⁵².

კანონპროექტის თავდაპირველად ინიცირებული ვარიანტი⁵³ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას უფლებამოსილებას ანიჭებდა, კომისიის მიერ ავტორიზებული/ლიცენზიის მფლობელი პირისთვის სპეციალური მმართველი დაენიშნა იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ავტორიზებული/ლიცენზიის მფლობელი პირისათვის დაკისრებული ჯარიმები ვერ უზრუნველყოფდა კომისიის გადაწყვეტილების აღსრულებას და აღსრულების დაყოვნებას ან/და ავტორიზაციის შეჩერებას/ლიცენზიის გაუქმებას შეიძლებოდა, ზიანი მიაყენებინა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის. კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები მაშინვე გახდა მკაცრი კრიტიკის საგანი, რომ იგი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფრთხეებს შეიცავდა⁵⁴.

2020 წლის 9 ივლისს, ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში მოქმედმა კომპანიებმა ერთობლივი განცხადება გაავრცელეს. ხელმომწერებმა განაცხადეს, რომ კანონპროექტი „ელექტრონული კომუნიკაციების კანონში“ შესატან ცვლილებებზე ავტორიზებული პირების ფუნდამენტურ უფლებებს ეხება და კანონპროექტის ამ ფორმით მიღება მათ სამომავლო საქმიანობაზე მნიშვნელოვან ნეგატიურ გავლენას იქონიებდა⁵⁵. ამ განცხადებების საპირისპიროდ, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ განაცხადა, რომ, ცვლილებები არ ეხებოდა მაუწყებლებს, რაც, არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, სიმართლეს არ შეესაბამებოდა, რადგან წარმოდგენილ კანონპროექტში ავტორიზებული/ლიცენზიის მფლობელ პირებზე ზოგადი მითითება, ვერ ქმნიდა ამის გარანტიას. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ტ“ პუნქტის თანახმად, რომელიც ტერმინებს განმარტავს, მაუწყებლად ითვლება ტელემაუწყებლობის ან/და რადიომაუწყებლობის განმასხორციელებელი ლიცენზიის მფლობელი ან/და

⁵¹ იხ. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტი: <https://bit.ly/34CnswH>.

⁵² იხ. საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. <https://bit.ly/3b4bSuS>.

⁵³ იხ. საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე: <https://bit.ly/2YJWtLz>.

⁵⁴ იხ. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება: <https://bit.ly/34E4HZm>.

⁵⁵ იხ. ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/2Ez3KH5>.

ავტორიზებული პირი; შესაბამისად, კომისიის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ შემოთავაზებული რეგულაციები ეხება „მხოლოდ კრიტიკული ინფრასტრუქტურის მფლობელ ელექტრონული კომუნიკაციების კანონით ავტორიზებულ პირებს და არანაირი კავშირი არ აქვს მაუწყებლებთან“, კანონპროექტში ადრესატთა წრის მკაფიო დაზუსტების გარეშე სარწმუნოდ ვერ ჩაითვლება⁵⁶.

საპარლამენტო უმცირესობის, მედიის წარმომადგენლებისა და არასამთავრობო სექტორის, ასევე ტელეკომუნიკაციის კომპანიების მხრიდან გამოთქმული კრიტიკის შედეგად, საქართველოს მთავრობამ „მაუწყებლის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების კანონპროექტი უკან გაიხმო. თუმცა, „მაუწყებლის შესახებ“ კანონში გათვალისწინებული ცვლილება - „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონში გადაიტანეს.

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებების მიმართ გამოთქმული მკაცრი განცხადებებისა და შეფასებების შედეგად, მოგვიანებით, კომუნიკაციების კომისიამ კერძო სექტორთან რამდენიმე საკონსულტაციო შეხვედრა გამართა, რის შემდეგაც კანონპროექტში სპეციალური მმართველის დანიშვნის წინაპირობები მკაფიოდ გაიწერა⁵⁷. ასევე, რიგ შემთხვევებში სპეციალური მმართველის დანიშვნის უფლებამოსილება, მარეგულირებელი ორგანოს ნაცვლად, სასამართლოს მიენიჭა⁵⁸. ასევე, კანონპროექტიდან ამოიღეს ის ჩანაწერი, რომელიც კომუნიკაციების კომისიას ავტორიზებული/ლიცენზიის მფლობელი პირის წილის გასხვისების უფლებამოსილებას აძლევდა⁵⁹.

საბოლოო ჯამში, კანონპროექტში შესული შესწორებების მიუხედავად, კანონის ახალი რედაქციის მიხედვით⁶⁰, კომუნიკაციების კომისიას კანონში არსებული საფუძვლებით შეუძლია, სპეციალური მმართველი იმ მედიაში დანიშნოს, რომელიც „მაუწყებლის შესახებ“ კანონთან ერთად, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონის რეგულირების სფეროში ექცევა.

⁵⁶ იხ. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის განცხადება: <https://bit.ly/3jrpcwj>. ასევე, იხ. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება: <https://bit.ly/34E4HZm>.

⁵⁷ იხ. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე პრიმა მუხლი; <https://bit.ly/2Qustih>.

⁵⁸ მაგ., „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე პრიმა მუხლის მე-12 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი: კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე პრიმა მუხლი; <https://bit.ly/2Qustih>.

⁵⁹ იხ. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტი, 46-ე პრიმა მუხლის მე-19 პუნქტი: <https://bit.ly/34CnswH>.

⁶⁰ იხ. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი: <https://bit.ly/2Qustih>.

11. გენდერული კვითრება

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის მე-7 მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით, სახელმწიფოებმა „ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ყველა ზომა უნდა მიიღონ“, რაც მოიცავს საჯარო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობის, ასევე, „საჯარო თანამდებობის დაკავებისა და საჯარო მმართველობის ყველა დონეზე საქმიანობის“ უფლებებს⁶¹. მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი მოითხოვს „ქალთა და მამაკაცთა შორის დე-ფაქტო თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით დროებითი სპეციალური ზომების მიღებას“⁶². გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წელს გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებაც საქართველოსგან მოითხოვს ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას⁶³. დროებითი სპეციალური ზომების მიღებაში იგულისხმება გენდერული კვითრების ფორმების შემოღება.

გენდერული კვითა წარმოადგენს ხელისუფლების ორგანოებში ქალისა და მამაკაცის წარმომადგენლობის დაკანონებულ დონეს. გენდერული კვითის მთავარი იდეაა, არსებითად გაზარდოს ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში და არ მოხდეს მათი იზოლაცია ამ პროცესებიდან⁶⁴. ამასთან, მრავალი სახელმწიფო, ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის მხოლოდ ისეთ მოდელს მიიჩნევს მიზანშეწონილად, რომელიც პოლიტიკის შექმნაში ქალისა და მამაკაცის თანასწორ მონაწილეობას უზრუნველყოფს. ასეთი პარიტეტის მიღწევა დემოკრატიის და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში მყოფი ქვეყნების უმთავრესი ამოცანაა⁶⁵. სწორედ ამ ამოცანის შესრულებას უწყობს ხელს კვითრების მექანიზმის შემოღება, რომელიც უზრუნველყოფს ქალთა და მამაკაცთა თანაბარ მონაწილეობას და წარმომადგენლობას ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელ სტრუქტურებში⁶⁶.

საქართველოს პარლამენტმა, 2020 წლის 2 ივლისს საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცვლილებები მიიღო, რითაც დამტკიცდა 25%-იანი გენდერული

⁶¹ იხ. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია (CEDAW), მუხლი 7. <https://bit.ly/2BLrCGa>.

⁶² იქვე: მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁶³ იხ. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის: <https://bit.ly/30ZCfOf>.

⁶⁴ იხ. ქალთა საინფორმაციო ცენტრის კვლევა: „გენდერული კვითა, როგორც პოლიტიკურ ცხოვრებაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმი“. <https://bit.ly/3jqmqYv>.

⁶⁵ იხ. გენდერული პოლიტიკა და ევროინტეგრაცია, ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნების (V4) გამოცდილება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისათვის (Eap); გვ. 29. მაია კუპრავა-შარვაშიძე. Visegrad Fund. 2015 წელი. <https://bit.ly/3hNRzo0>.

⁶⁶ იხ. გენდერულ კვითრებასა და ფორმებზე: <https://bit.ly/2EMlZSA>.

კვოტირების მექანიზმი, რომლის მიხედვით, პროპორციულ პარტიულ სიებში პოლიტიკური პარტიები ვალდებულნი იქნებიან, სულ ცოტა, ყოველი მეოთხე ადამიანი განსხვავებული სქესის იყოს.

გენდერულ კვოტირებასთან დაკავშირებულ ცვლილებებს მონინალმდეგები გამოუჩნდნენ პოლიტიკურ პარტიებში. მათ შორის, აღსანიშნავია პოლიტიკური პარტია „ევროპული საქართველოსა“ და „გირჩის“ მიერ ცვლილებების გაკრიტიკება. „გირჩის“ წარმომადგენლები მიუთითებენ, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაჩეროს ამ ნორმის მოქმედება, რადგან ასეთი ვალდებულებით პარტიის რეგისტრაცია არ იქნება სამართლიანი⁶⁷.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა გირჩის სარჩელი გენდერული კვოტირების შესახებ. კერძოდ, სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო გირჩის სარჩელის ერთი ნაწილი, თუმცა, მეორე, რომლის მიხედვითაც პარტიულ სიაში ყოველი მეოთხე ქალი უნდა იყოს, კონსტიტუციურად მიიჩნია⁶⁸.

ცვლილებების ძირითადი არსი:

✓ ცვლილებების თანახმად, 2028 წლამდე ჩასატარებელ საპარლამენტო არჩევნებში პარტიამ (საარჩევნო სუბიექტმა) ცესკოს თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს ისეთი პარტიული სია, რომლის ყოველ ოთხეულში ერთი კანდიდატი მაინც იქნება განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. წინააღმდეგ შემთხვევაში პარტია რეგისტრაციაში არ გატარდება;

✓ 2028 წლის 28 ოქტომბერს და მის შემდგომ, 2032 წლამდე, ჩასატარებელ საპარლამენტო არჩევნებში პარტიამ (საარჩევნო სუბიექტმა) ცესკოს თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს ისეთი პარტიული სია, რომლის ყოველ სამეულში ერთი კანდიდატი მაინც იქნება განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. წინააღმდეგ შემთხვევაში პარტია რეგისტრაციაში არ გატარდება;

✓ 2032 წლამდე საქართველოს პარლამენტის გამოკლებულ წევრს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩაანაცვლებს იმავე სიაში რიგით მომდევნო იმავე სქესის საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი, თუ მან ვაკანსიის წარმოშობიდან 15 დღეში თანხმობა განაცხადა საქართველოს პარლამენტის წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ვაკანტურ ადგილს დაიკავებს სიაში მისი მომდევნო იმავე სქესის საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი.

✓ 2028 წლამდე ჩასატარებელ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საერთო არჩევნებში პარტიის მიერ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისათვის წარდგენილ სიაში ყოველი მეორე უნდა იყოს განსხვავებული

⁶⁷ იხ. „გირჩის“ განცხადება: <https://bit.ly/2XjaQWk>.

⁶⁸ იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება: <https://bit.ly/3n606Gf>.

სქესის კანდიდატი. წინააღმდეგ შემთხვევაში პარტია რეგისტრაციაში არ გატარდება;

✓ საკრებულოს გამოკლებული წევრის შემთხვევაშიც იმოქმედებს პარლამენტში გათვალისწინებული უფლებამონაცვლეობის წესი (გამოკლებულ წევრს ჩაანაცვლებს იმავე სქესის კანდიდატი).

ეს ცვლილებები მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იმ ფონზე, როდესაც საქართველოს მომავალ პარლამენტში 120 დეპუტატი პროპორციული სისტემით აირჩევა, ცვლილება ქალთა წარმომადგენლობას საკანონმდებლო ორგანოში მინიმუმ 30 დეპუტატამდე გაზრდის, რაც საერთო რაოდენობის 20%-ია.

12. მერჯის გადადგომა

საანგარიშო პერიოდში თანამდებობა დატოვა ხუთმა მერმა.

2020 წლის 11 მარტს, მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ თანამდებობა დატოვა კასპის მერმა, მანუჩარ მერაბიშვილმა. იგი კასპის მუნიციპალიტეტის მერად 2017 წელს აირჩიეს⁶⁹. თანამდებობის დატოვების მიზეზად მან სხვა სამსახურში გადასვლა დაასახელა. ამის პარალელურად, ოპოზიციის წარმომადგენლები, მანუჩარ მერაბიშვილსა და გუბერნატორ გიორგი ხოჯევანიშვილს შორის არსებულ დაპირისპირებაზე საუბრობდნენ და მათი მტკიცებით, მერს თანამდებობა იძულებით დაატოვებინეს⁷⁰.

2020 წლის 1 აპრილს, იმერეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ თანამდებობა დატოვა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა - ბონდო სოფრომაძემ⁷¹. ბონდო სოფრომაძე თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი 2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ გახდა. ოპოზიცია, ამ შემთხვევაში, ყოფილ მერსა და „ქართული ოცნებიდან“ საქართველოს პარლამენტის წევრ - ელგუჯა გოცირიძეს შორის არსებულ დაპირისპირებაზე საუბრობს⁷².

2020 წლის 5 აპრილს, თანამდებობა დატოვა ონის მუნიციპალიტეტის მერმა, ემზარ საბანაძემ და მისმა პირველმა მოადგილემ, დიმიტრი საყვარელიძემ⁷³. მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გადადგომას, ამ შემთხვევაშიც, შიდაპარტიული დაპირისპირება უძღოდა წინ. Reginfo-ს ინფორმაციით, ემზარ

⁶⁹ იხ. ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/3lkOMF8>.

⁷⁰ იხ. ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/2QuLC3B>.

⁷¹ იხ. ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/3hH73KE>.

⁷² იხ. ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/3lub2MK>.

⁷³ იხ. ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/32xKBNM>.

საბანაძეს რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის მაჟორიტარი გოჩა ენუქიძე და გუბერნატორი არჩილ ჯაფარიძე დაუპირისპირდნენ⁷⁴.

2020 წლის 8 აპრილს, თანამდებობა დატოვა ქუთაისის მერმა, გიორგი ჭიღვარიამ⁷⁵. Facebook-ის საკუთარ გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში ჭიღვარიამ ხაზი გაუსვა, რომ იგი პოლიტიკიდანაც მიდის⁷⁶.

2020 წლის 16 ივლისს, თანამდებობა დატოვა ბათუმის მერმა, ლაშა კომახიძემ. მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას დაპირისპირება ჰქონდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან, თორნიკე რიჟვაძესთან. ამასთან, გავრცელებული ინფორმაციით, კომახიძე თანამდებობიდან წასვლის სანაცვლოდ, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისას, საარჩევნო სიაში ჩასმას ითხოვდა⁷⁷.

რიგგარეშე არჩევნები: საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, მერის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში რიგგარეშე არჩევნებს ნიშნავს ცესკო განკარგულებით. არჩევნები ტარდება არჩევნების დანიშნიდან არაუგვიანეს 50-ე დღისა. არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 49-ე დღისა ცესკო განკარგულებით ადგენს საარჩევნო ღონისძიებათა ვადებს⁷⁸. მერის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში რიგგარეშე არჩევნები ტარდება მაისში ან ოქტომბერში, საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით. ასევე, თუ მერს უფლებამოსილება 15 თებერვლიდან 15 ივლისამდე შეუწყდა, რიგგარეშე არჩევნები ტარდება იმავე წლის ოქტომბერში, ხოლო თუ მერს უფლებამოსილება 15 ივლისიდან 15 თებერვლამდე შეუწყდა – უახლოეს მაისში. მუნიციპალიტეტის ორგანოების მორიგი არჩევნების წელს მერის რიგგარეშე არჩევნები არ ტარდება⁷⁹.

ვინაიდან, ზემოაღნიშნულმა მერებმა თანამდებობის დატოვების შესახებ 15 ივლისამდე განაცხადეს, რიგგარეშე არჩევნები მიმდინარე წლის ოქტომბერში ჩატარდება.

⁷⁴ იხ. ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/3qFoSs6>.

⁷⁵ იხ. ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/2YHUeZ6>.

⁷⁶ იხ. ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/3hC0Uzf>.

⁷⁷ იხ. ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/2QwOfSj>.

⁷⁸ იხ. საქართველოს ორგანული კანონის „ საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 169² მუხლის 1-ლი პუნქტი. <https://bit.ly/3bcInZ7>.

⁷⁹ იხ. საქართველოს ორგანული კანონის „ საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 169² მუხლის მე-2 პუნქტი. <https://bit.ly/3bcInZ7>.

13. პოლიტიკური ფინანსების მარკულირებელ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები

საანგარიშო პერიოდში, ცვლილებები განხორციელდა პოლიტიკური ფინანსების მარკულირებელ კანონმდებლობაში⁸⁰. *კერძოდ:*

✓ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის ახალი ვერსიით პარტია საბიუჯეტო დაფინანსებას მიიღებს წერილობითი თანხმობის საფუძველზე, რომელიც უნდა წარედგინოს ცესკოს. ძველი რედაქციით კი დაფინანსებას ვასცემდა ცესკო, ამასთან პარტიას დაფინანსების მიღების შესახებ თანხმობა უნდა განეცხადებინა სახელმწიფო აუდიტის სამსახურში (მუხლ., 10, პუნქტი 11);

✓ შემომწირველი შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი იურიდიული პირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს ტერიტორიაზე და რომლის პარტნიორები მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები და საქართველოში რეგისტრირებული ის იურიდიული პირები არიან, რომელთა საბოლოო ბენეფიციარები მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები არიან ((მუხლ., 25, პუნქტი 2, „ბ“ ქვეპუნქტი.).

✓ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში შესული ცვლილებით დადგინდა, რომ საჯარო შემომწირველი ფიზიკური პირის მხოლოდ სახელი, გვარი, პირადი ნომერი. ძველი რედაქციით ზემოაღნიშნულ ინფორმაციასთან ერთად საჯარო იყო რეგისტრაციის ადგილიც (მუხლ., 26, პუნქტი 2.);

✓ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს უფლება მიეცა, პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის პროცესში გამოიყენოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა და ელექტრონული ხელმოწერა, ელექტრონულ დოკუმენტსა და მის ამონაბეჭდს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც წერილობით დოკუმენტს;

✓ პარტიის საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაჯაროების ვადა სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის განისაზღვრა ინფორმაციის მიღებიდან 5 სამუშაო დღით;

✓ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ინფორმაციის მინოდების ვალდებულების შეუსრულებლობას დაემატა ახალი სანქცია - გაფრთხილება (მუხლ., 34², პუნქტი 5);

⁸⁰ იხ. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი. <https://bit.ly/31eTxZ>.

✓ შემოწმირულების დადგენილი მოთხოვნების დარღვევით განხორციელებას დაემატა რომელიმე პოლიტიკური ძალის მხარდასაჭერად ან სხვა პოლიტიკური ძალის მხარდაჭერისგან თავის შეკავების მიზნით განეული ხარჯის დადგენილი მოთხოვნების დარღვევით განხორციელება, რაც გამოიწვევს აღნიშნული ხარჯის განმახორციელებელი პირის დაჯარიმებას განეული ხარჯის ორმაგი ოდენობით ((**მუხლ., 34^ე, პუნქტი 2**);

✓ ამომრჩეველთა მოსყიდვის მიზნით გარიგების დადება, თუ ასეთი გარიგების ღირებულება არ აღემატებოდა 100 ლარს, ინვევდა პარტიის ან პარტიის წარმომადგენლის დაჯარიმებას გარიგების ღირებულების ათმაგი ოდენობით და ფიზიკური პირის დაჯარიმებას შესაბამისი ღირებულების ორმაგი ოდენობით. ცვლილებების შედეგად აღნიშნული ნორმა ამოღებულ იქნა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონიდან და გადავიდა სისხლის სამართლის კოდექსში და ისჯება ჯარიმით (**სსკ-ის 164^ე მუხლი**).

დასკვნა

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ 2020 წლის 29 ივნისს მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად, საარჩევნო სისტემა გამორიცხავს ჭარბი უმრავლესობის მოპოვებას არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური პარტიის მიერ. ამასთან, მოცემული მოდელი გამარჯვებული პარტიისთვის თითქმის სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემის ანალოგიურ შედეგს წარმოშობს. გარდა ამისა, მოცემული საარჩევნო სისტემა უზრუნველყოფს ოპოზიციის სათანადო წარმომადგენლობას და პლურალიზმის მაღალ ხარისხს საქართველოს პარლამენტში. იგი საშუალებას აძლევს, თუნდაც, მცირე საზოგადოებრივი გავლენის მექონე პოლიტიკურ პარტიებს, მოიპოვონ წარმომადგენლობა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, რაც ცალსახად წინადადგმული ნაბიჯია სამართლიანი საარჩევნოს სისტემის შექმნისათვის.

წინასაარჩევნო გარემოს შეფასებისას, კვლავ აქტუალურ და გადაუჭრელ პრობლემად რჩება, წლების განმავლობაში დამკვიდრებული, ადმინისტრაციული რესურსების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების მანკიერი პრაქტიკა. ასევე, ახალი მედია რეგულაციების გაჩენით - სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა, ადამიანების პოლიტიკური ნიშნით დევნა და გასამართლება, თვითმმართველობებში არჩეულ თანამდებობის პირებზე პოლიტიკური ზეწოლა და ა.შ.

ამასთან, როგორც წესი, არარჩევნების მოახლოებასთან ერთად მატულობს პოლიტიკური შეხედულების გამო შევიწროების, ფიზიკური და სიტყვიერი

შეურაცხყოფის ფაქტები, მედიის წარმომადგენლებზე თავდასხმები, პოლიციის მხრიდან შერჩევითი სამართლებრივი რეაგირება, ე.წ. „ფეიკ ნიუსებისა“ და სხვა უკანონო საშუალებათა გამოყენების ინტენსივობა, რისი სათანადო რეაგირების გარეშე დატოვებაც, ხელს შეუშლის სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარებას.